საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N45 2017 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება მიენიჭოთ:

გენადი არველაძეს - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე; მომლაპარაკებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი; მანვე უზრუნველყოს „საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების პროცესის საერთო ხელმძღვანელობა და წარმართვა;

მარიამ გოცირიძეს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი;

ნინო ქაჯაიას - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი;

მანანა ტეტელოშვილს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ლევან წურწუმიას - საქართელოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გ. არველაძის, მ. გოცირიძის, ნ. ქაჯაიას, მ. ტეტელოშვილისა და ლ. წურწუმიასთვის „საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2017 წლის 23 თებერვლის N37 ბრძანება.

გიორგი კვირიკაშვილი